საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კომში, ბია

კომში

კომში, ბია (Cydonia), მრავალწლოვანი მცენარის გვარი ვარდყვავილოვანთა ოჯახისა. არსებობს 1 სახეობა —ჩვეულებრივი კ. (C. oblonga). კ. ტანდაბალი ხე ან ბუჩქია, რ-ის სიმაღლე 1,5—5 *მ* აღწევს. ნაყოფი ყვითელია, მსხლისებრი ან ვაშლისებრი ფორმა აქვს, შებუსული ან შეუბუსავია. რბილობი მოთეთროა, მოტკბო-მომჟავო ან მჟავე, არომატული. შეიცავს (%-ობით) 7,22—15,06 შაქარს, 0,24—1,26 ორგ. მჟავებს, 0,18—0,98 პექტინს და სხვ. ნაყოფი მდიდარია ვიტამინებით (C, E, B^{16} და სხვ.), პოლიფენოლებით (კატექინები და სხვ.), ფლავონიდებით, მინერ. ნივთიერებებით (K, Ca, Fe, Mg და სხვ.). კ. სითბოსა და სინათლის მოყვარული ყინვაგამძლე მცენარეა. ტენიან და ნოყიერ ნიადაგზე მაღალი ხარისხის მოსავალს იძლევა.

მსოფლიოში კ-ის სამშობლოდ მიჩნეულია სამხრ. კავკასია, თურქეთი, ჩრდ. ირანი და ცენტრ. აზია. მისი დომესტიკაციის პერიოდი ემთხვევა ძვ. წ. 4000—5000 წლებს. კულტივირებულია თითქმის ყველგან.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო კ-ის ერთ-ერთი სამშობლოა. მისი ველური ფორმები გვხვდება როგორც აღმ. (კახეთი, შიდა ქართლი), ისე დას. (რაჭა, იმერეთი) საქართველოს ტყეებში. ამრავლებენ თესლით და ვეგეტატიურად (მყნობით). კ. გამოიყენება როგორც თვით კ-ის, ასევე მსხლისა და ზღმარტლის საძირეებად, რ-თაგან ყველაზე ცნობილია ანჟერისა და პროვანსის კ-ის ფორმები: MA, BA—29, MC, Sydo და სხვ. საქართველოში ადგილ.

წარმოშობის 75 ჯიში არსებობს. საუკეთესო ჯიშებია: ლაგოდეხის მსხვილნაყოფა, ქართული მჟავე, შილდური საგვიანო, საკომპოტე და სხვ. აქვე გავრცელებულია კ-ის არა მარტო ადგილ. სხვადასხვა ჯიში, ფორმა და სახესხვაობა, არამედ ინტროდუცირებული ჯიშებიც. კ-ის ნაყოფი გამოიყენება ნედლად და გადამუშავებული სახით. მისგან ამზადებენ მურაბას, ხილფაფას, კომპოტს, წვენს და სხვ. ნაყოფს იყენებენ კუჭ-ნაწლავისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებათა სამკურნალოდ, თესლისგან ამზადებენ ნაყენს და ნახარშს (ხელს უწყობს წყლულის შეხორცებას); ხმარობენ ხველისა და ანგინის საწინააღმდეგოდ, ასევე მხედველობის გასაუმჯობესებლად.

ლიტ.: შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე დ., საქართველოს სხვადასხვა ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ პირობებში განვითარებული კომშის ჯიშების ნაყოფის ზოგიერთი ნიშნების შესწავლის შედეგები, თბ., 2000.

დ. შარაშენიძე

ზ. ბობოქაშვილი